პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 14 ნოემბერი, 1942 წ. № 270 (6586). ფასი 15 კაპ.

7306

## დიდი სტალინის მოხსენება და ბრძანება—ფართო მასებში!

უდიდესი შთამაგონებელი ძალით გაისმა ამხანაგ **სტალინის** ისტორიული მოხსენება 6 ნოემბერს და 7 ნოემბრის ბრძანება. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მხურვალედ აიტაცეს საყვარელი ბელადის ყოველი სიტყვა, ხალხმრავალ მიტინგებსა და კრებებზე ისინი გაეცნენ დიდი სტალინის მოხსენებისა და ბრძანების შინაარსს, ყველგან — ფაბრიკებში, ქარხნებში, მაღაროებში, კოლმეურნეობებში მილიონობით მშრომელები ახალი ძალებით შეიარაღდნენ, მათ კიდევ უფრო გაუძლიერდათ ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების ღრმა რწმენა. დიდი სტალინის მოხსენებასა და ბრძანებას მასები ეუფლებიან; ეს აძლიერებს ჰიტლერულ ავაზაკებზე წითელი არმიის დარტყმებს და შრომითი მამაცობის ახალ სასწაულებს წარმოშობს ზურგში.

ბელადის მოხსენებას იხილავენ, სწავლობენ ყველგან, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში, ფრონტისპირა ქალაქებსა და პარტიზანულ რაიონებში. ლენინგრადელებმა ახალი საბრძოლო ვალდებულებები იკისრეს. ვოლგის ციხე - სიმაგრის — ლეგენდარული სტალინგრადის მშრომელებმა საზეიმო სხდომა ჩაატარეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის აღსანიშნავად და მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს მას, ვისაც გამარჯვებისაკენ მივყევართ, მას, ვის სახელსაც მთელი მოწინავე პროგრესიული კაცობრიობა უდიდესი სიყვარულით წარმოსთქვამს — დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს! „ლენინნეფტის" ტრესტის მუშებმა ახალი ჭაბურღილებიდან ათეულ ტონობით ნავთი ამოიღეს. უმცროსმა ლეიტენანტმა შადუნცმა, რომელმაც შარშან მოსკოვთან ფაშისტთა 8 ტანკი მოსპო, პირველი ყინვისაგან გათოშილ მიწაში ჩადგმულ ქვემეხებთან შემდგარ მიტინგზე დაიფიცა, რომ იგი მტრის ტანკებს კვლავ რკინის ჯართის გროვებად გადააქცევს. მტრის ღრმა ზურგიდან მიღებული ცნობები ნათლად მეტყველებენ, თუ რა უდიდესი სიყვარულით, რა გატაცებით ეცნობიან გმირი პარტიზანები მშობლიური სტალინის მოხსენებას. ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის მებრძოლები პატარა ოთახში შეიკრიბნენ. მეთაურმა მათ წაუკითხა ბელადის მოხსენება. პარტიზანთა მღელვარე სახეებსა და თვალის მგზნებარე ბრწყინვალებაში სჩანდა, თუ რა ახლობელი, რა მშობლიური იყო მათთვის სტალინის ყოველი სიტყვა. ამ სიტყვის შესახებ სთქვა მეთაურმა:

— „ჩვენ ღრმად გავიტანთ ხალხში სტალინის სიტყვას. აღსდგებიან პარტიზანთა ახალი რაზმები".

სტალინის სიტყვას ხალხში ამ გატანას კოლოსალური ძალა აქვს. ბელადის სიტყვა, ბელადის გამოსვლა საბჭოთა ადამიანებს ყოველთვის უდიდეს საგმირო და პატრიოტულ საქმეებს შთააგონებს. ამიტომ საჭიროა ღრმად, საფუძვლიანად შევისწავლოთ ამხანაგ სტალინის მოხსენება და ბრძანება, მშრომელთა მასებში უნდა მოვაწყოთ ამ ისტორიული დოკუმენტების ფართო ახსნა-განმარტება.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ამ მიზნით უახლოეს ხანში უნდა ჩაატარონ ლექტორების, მომხსენებლების, პროპაგანდისტებისა და წამკითხველ-მესაუბრეთა საინსტრუქციო კრებები, თუ როგორ მოვაწყოთ მასებში ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და ბრძანების ახსნა-განმარტება. ამავე დროს, საჭიროა მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრეების მორიგი მეცადინეობანი სპეციალურად მიეძღვნას ამ ისტორიული დოკუმენტების შესწავლას.

ამხანაგ სტალინის მოხსენება წარმოადგენს უდიდესი თეორიული სიღრმის დოკუმენტს. ლენინ-სტალინის პარტია ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოწინავე თეორიის დაუფლებას მასების მიერ. ამის ყველაზე მკაფიო დოკუმენტი ამ ოთხი წლის წინათ იყო „საკ. ც. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოცემა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა ენციკლოპედიას წარმოადგენს. 1938 წლის 14 ნოემბერს თავის ისტორიულ დადგენილებაში „საკ. ც. პ. (ბ) მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრა პარტიული პროპაგანდის მეთოდები, ის როლი, რომელიც მას ენიჭება პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკური კადრების აღზრდაში, მიუთითა, რომ ისინი, დაეუფლებიან რა მარქსიზმ-ლენინიზმს, „ნამდვილად უძლეველნი გახდებიან" და ამ თეორიის დროშის ქვეშ, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო წარმატებით წაიყვანენ მთელ საბჭოთა ხალხს გამარჯვებისაკენ.

ჩვენ გვაქვს ბოლშევიკური პარტიის უდიდესი ისტორიული გამოცდილება. ჩვენი პარტია ყველაზე ურთულეს და უძნელეს პირობებში იმიტომ იმარჯვებდა, რომ, შეიარაღებული იყო რა მოწინავე თეორიით, იცოდა კანონები საზოგადოებრივი განვითარებისა, პოლიტიკური ბრძოლისა. ოქტომბრისშემდგომი პერიოდის ღრმად შესწავლა ბრძოლისა და გამარჯვების მდიდარ გამოცდილებას გვაძლევს. ავიღოთ, მაგალითად, 1918 წელი. მაშინ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის სამი მეოთხედი ინტერვენტებს ეჭირათ. „უკრაინა, კავკასია, შუა აზია, ურალი, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი ჩვენ მიერ დაკარგული იყო დროებით, — ამბობდა ამხანაგი სტალინი. — ჩვენ არ გვყავდა მოკავშირეები. ჩვენ არ გვყავდა წითელი არმია — ჩვენ ის-ის იყო ვიწყეთ მისი შექმნა, გვაკლდა პური, გვაკლდა იარაღი, გვაკლდა ტანსაცმელი. 14 სახელმწიფო უტევდა მაშინ ჩვენს ქვეყანას". მაგრამ, მიუხედავად ამ უმძიმესი განსაცდელისა, ჩვენმა ქვეყანამ დაიბრუნა დაკარგული ტერიტორიები და გამარჯვებას მიაღწია. როგორ მოხდა ეს? მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი აღსდგა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ერთიან სამხედრო ბანაკად დაირაზმა, გმირული შრომით და ბრძოლით განდევნა მტერი მშობლიური მიწა-წყლიდან.

თითოეულ საბჭოთა ადამიანს უნდა ჰქონდეს უნარი წარსულის გამოცდილების მიხედვით ნათლად გაერკვეს ჩვენი მრისხანე დღეების მოვლენებში. ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის შესწავლა გვაძლიერებს ამ უნარს. ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენებისა და ბრძანების შესწავლა, მისი ღრმად გაგება, იმ ამოცანების მთელი სიდიადით წარმოდგენა, რაც ბელადმა დაგვისახა სამამულო ომის მიმდინარე ეტაპზე საზიზღარი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, — ახალი საგმირო საქმეებისაკენ მოგვიწოდებენ ფრონტის დასახმარებლად. მიზანს რომ მივაღწიოთ, საჭიროა ვიცოდეთ, ღრმად შევიგნოთ ის საბრძოლო ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას და ვიბრძოლოთ მათი განხორციელებისათვის.

დიდი **სტალინის** მოხსენებამ და ბრძანებამ მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები ახალი ძალებით შეაიარაღა. ამ ისტორიულმა დოკუმენტებმა მოქმედების დიადი პროგრამა გადაგვიშალეს. ეს პროგრამა მოქმედებაშია, მას მილიონობით ადამიანები ეუფლებიან და ეს ადამიანები უძლეველნი ხდებიან საზიზღარი ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაში.

## სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

**სოხუმი,** 13 ნოემბერი (საქინფორმი). 12 ნოემბერს აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის შენობაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **გ. სტურუამ** სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადასცა ამხანაგთა ჯგუფს, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით.

ამხ. სტურუამ ლენინის ორდენი გადასცა ამხ. ა. ბორისენკოვს, ა. დუდკოს, ე. დოვგის, მ. კნიაზევს, ვ. კოზლოვს, ფ. კრუტილოვს, ვ. ნიკულინს, გ. საველიევს, მ. ჩერემისოვს, ი. იაცკოვს.

მთელმა რიგმა ამხანაგებმა მიიღეს შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავისა და „საპატიო ნიშნის" ორდენები. 24 კაცმა მიიღო მედალი „შრომითი მამაცობისათვის" და 33—მედალი „შრომითი წარჩინებისათვის".

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის „საპატიო ნიშნის" ორდენი მიიღო გალინა ბორისის-ასულმა კონონენკომ.

შემდეგ ამხ. სტურუამ „საპატიო ნიშნის" ორდენები გადასცა ტრესტ ტყვარჩელქვანახშირის მუშაკებს ამხ. ლაბახუას და სიგუას— მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ქვანახშირის ამოღების საქმეში.

ორდენებისა და მედლების გადაცემის დამთავრების შემდეგ ამხ. სტურუამ დაჯილდოებულთ მიმართა სიტყვით, რომელშიც განაცხადა:

— მოგილოცავთ მთავრობის უმაღლესი ჯილდოს მიღებას ზურგში კარგი მუშაობისათვის და წითელი არმიის დახმარებისათვის. ეს ჯილდო, რომელიც თქვენ მიიღეთ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში, გავალებთ გააათკეცოთ ენერგია ახალ-ახალი სასახელო გამარჯვების მისაღწევად სამშობლოს საკეთილდღეოდ, საბჭოთა ხალხის და მთელი პროგრესიული კაცობრიობის უბოროტესი მტრის—გერმანული ფაშიზმის რაც შეიძლება მალე განადგურებისათვის. ჩვენ ყოველგვარი შესაძლებლობა მოგვეპოვება იმისათვის, რომ დღეს გუშინდელზე უკეთ ვიმუშაოთ, ხოლო ხვალ დღევანდელზე უკეთ.

საბჭოთა ხალხმა, საბჭოთა სამშობლომ გაუძლო უდიდეს განსაცდელს, რომელსაც ვერც ერთი სხვა ქვეყანა ვერ გაუძლებდა. ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ საბჭოთა ხალხს ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის პარტია, მთელს ჩვენს მუშაობას აღფრთოვანებს და წარმართავს დიდი სტალინი.

კაცობრიობის გენიოსის დიდი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით ჩვენ გამარჯვებას მოვიპოვებთ საზიზღარ მტერზე.

ამ სიტყვებს დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით, მქუხარე ოვაციით ხვდებიან.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ ამხ. მ. ტეპლოვი და ა. ლაბახუა.

— ამ წუთს,—სთქვა ამხ. ტეპლოვმა,—ჩვენ დიდი სიყვარულით და ერთგულებით მივმართავთ და მადლობას ვუძღვნით ჩვენს მამას, მეგობარს, ბელადსა და მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს. ვიღებთ რა ჩვენი მშობლიური მთავრობის უმაღლეს ჯილდოს, სიტყვას ვაძლევთ მთელი ჩვენი გამოცდილება, მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ, ხოლო, თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც შევწიროთ ჰიტლერელთა ურდოების საბოლოო განადგურების საქმეს.

— მაღალი ჯილდო, რომელიც დღეს მივიღეთ,—სთქვა ამხ. ლაბახუამ,—გვავალებს არა მარტო მთლიანად, არამედ გადამეტებითაც შევასრულოთ ქვანახშირის ამოღების გეგმები. ჩვენ გვესმის, რომ ჩვენს სტახანოვურ მუშაობაზეა დამოკიდებული სათბობით შეუფერხებელი მომარაგება ტრანსპორტისა და მრეწველობისა, რომელიც წითელ არმიას უზრუნველჰყოფს ყოველივე იმით, რაც კი საჭიროა გერმანელ დამპყრობლებთან წარმატებითი ბრძოლისათვის. აი სწორედ ამიტომ ჩვენთვის დაკისრებულ ამოცანებს ჩვენ პირნათლად შევასრულებთ.

## ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის კითხვებზე

ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მოსკოველმა კორესპონდენტმა ბ-ნმა კესიდიმ 12 ნოემბერს მიმართა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინს** წერილით, რომელშიც სთხოვდა მას ეპასუხნა სამ კითხვაზე, რომლებიც ამერიკის საზოგადოებრიობას აინტერესებს.

ამხანაგმა **სტალინმა** ბ-ნ კესიდის უპასუხა შემდეგი წერილით:

ბატონო კესიდი! გიპასუხებთ 12 ნოემბერს გამოგზავნილ თქვენს კითხვებზე.

1. „საბჭოთა მხარე როგორ აფასებს მოკავშირეთა კამპანიას აფრიკაში?"

**პასუხი:** საბჭოთა მხარე აფასებს ამ კამპანიას, როგორც უდიდესი მნიშვნელობის თვალსაჩინო ფაქტს, რომელიც ცხადჰყოფს მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მზარდ ძლიერებას და ჰქმნის იტალია-გერმანიის კოალიციის უახლოეს დროში დაშლის პერსპექტივას. აფრიკის კამპანია ერთხელ კიდევ უარჰყოფს სკეპტიკოსების აზრს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ინგლის-ამერიკის ხელმძღვანელებს არ შესწევთ უნარი მოაწყონ სერიოზული სამხედრო კამპანია. არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ, რომ მხოლოდ პირველხარისხოვან ორგანიზატორებს შეეძლოთ განეხორციელებინათ ისეთი სერიოზული სამხედრო ოპერაციები, როგორიც არის წარმატებითი დესანტები ჩრდილოეთ აფრიკაში ოკეანით, სწრაფი დაკავება ნავსადგურებისა და ფართო ტერიტორიებისა კასაბლანკიდან ბუჟამდე და იტალია-გერმანიის ჯარების განადგურება დასავლეთ უდაბნოში, რაც ოსტატურად ტარდება.

2. „რამდენად ეფექტურია ეს კამპანია საბჭოთა კავშირზე დაწოლის შემცირების აზრით და რა შემდგომ დახმარებას მოელის საბჭოთა კავშირი?"

**პასუხი:** ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი ამ კამპანიის ეფექტურობის ხარისხის შესახებ საბჭოთა კავშირზე უშუალო დაწოლის შემცირების აზრით, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეფექტი მცირე როდი იქნება და საბჭოთა კავშირზე დაწოლის ერთგვარი შემცირება უკვე უახლოეს დროში მოხდება. მაგრამ საქმე მარტო ეს როდი არის. საქმე უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ რამდენადაც აფრიკის კამპანია ნიშნავს ინიციატივის გადასვლას ჩვენი მოკავშირეების ხელში, იგი ძირიან-ფესვიანად სცვლის სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობას ევროპაში ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის სასარგებლოდ. იგი ძირს უთხრის ავტორიტეტს ჰიტლერული გერმანიისას, როგორც ხელმძღვანელი ძალისას ღერძის სახელმწიფოთა სისტემაში და დემორალიზაცია შეაქვს ჰიტლერის მოკავშირეთა შორის ევროპაში. მას საფრანგეთი გამოჰყავს გარინდების მდგომარეობიდან, ახდენს საფრანგეთის ანტიჰიტლერულ ძალთა მობილიზაციას და ჰქმნის საფუძველს საფრანგეთის ანტიჰიტლერული არმიის ორგანიზაციისათვის. იგი ჰქმნის პირობებს იტალიის გამოსაყვანად მწყობრიდან და ჰიტლერული გერმანიის იზოლაციისათვის. ბოლოს იგი ჰქმნის წინაპირობებს მეორე ფრონტის მოსაწყობად ევროპაში, გერმანიის სასიცოცხლო ცენტრების მახლობლად, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჰიტლერულ ტირანიაზე გამარჯვების ორგანიზაციის საქმეში.

3. „საბოლოო გამარჯვების დაჩქარების მიზნით, როგორია შესაძლებლობა აღმოსავლეთში საბჭოთა შეტევითი ძალის შეერთებისა მოკავშირეებთან დასავლეთში?".

**პასუხი:** შეიძლება ეჭვი არ შევიტანოთ იმაში, რომ წითელი არმია ღირსეულად შეასრულებს თავის ამოცანას ისევე, როგორც იგი ასრულებდა მას მთელი ომის განმავლობაში.

პატივისცემით

**ი. სტალინი**

1942 წლის 13 ნოემბერი.
(მიღებულია რადიოთი საჭრადიოკომიტეტის მიერ).

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 13 ნოემბრის დილის ცნობა

12 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში, **ტუაფსეს** ჩრდილო-აღმოსავლეთით და **ნალჩიკის** სამხრეთ-აღმოსავლეთით. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები. ჩვენი ნაწილები მტკიცედ იცავენ თავის პოზიციებს და იგერიებენ მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშებს. ქალაქის დამცველნი დიდ ზარალს აყენებენ მტერს. ერთ უბანზე რვა წითელარმიელი და უფროსი სერჟანტი ფილატოვი იცავდნენ თავისი ქვეგანაყოფის ფლანგს. ჰიტლერელებმა სამჯერ მოიტანეს იერიში, მაგრამ სამჯერვე იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. მეოთხეჯერ გერმანელებმა იერიშზე გამოუშვეს ერთი ასეული ქვეითი ჯარი. უთანასწორო ბრძოლამ სამ საათზე მეტ ხანს გასტანა, მაგრამ ჰიტლერელებმა მაინც ვერ შესძლეს ჩვენი ცხრა მებრძოლის დაძლევა. ბრძოლის ველზე დარჩა 60 მოკლული გერმანელი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო - დასავლეთით 6 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის იერიში, გასწყვიტეს 150 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დააზიანეს ტანკი და სამი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი. სხვა უბანზე ჩვენი მზვერავთა ჯგუფი მოწინააღმდეგის განლაგებაში შეიჭრა, ააფეთქა სამი ძელმიწური საცეცხლე წერტი და გასწყვიტა რამდენიმე ათეული ჰიტლერელი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნ ნაწილის არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 4 ჯავშნიანი მანქანა, 105-მილიმეტრიანი საარტილერიო ბატარეა და ნაღმსატყორცნო ბატარეა. სხვა უბანზე არტილერისტებმა ამხ. შარმაიდანოვის მეთაურობით დააზიანეს გერმანელთა 2 ტანკი.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერი ცდილობდა გადმოსულიყო ერთი წყლის ზღუდეზე. საბჭოთა არტილერისტებმა მარჯვე ცეცხლით მოსპეს გადმოსასვლელები და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს გერმანელებს. სხვა უბანზე ჰიტლერელებმა ბრძოლითი დაზვერვა მოაწყეს, მაგრამ 100-ზე მეტი ჯარისკაცი დაჰკარგეს და პირვანდელ პოზიციებზე დაიხიეს.

ორი დღის განმავლობაში ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 8 თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა სნაიპერებმა ორი დღის განმავლობაში გასწყვიტეს 550 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დღის განმავლობაში ლენინგრადის მისადგომებზე მოსპობილია გერმანელთა 11 თვითმფრინავი. მათ შორის 7 თვითმფრინავი ჩამოგდებულია საჰაერო ბრძოლებში და 4—საზენიტო არტილერიის ცეცხლით.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ორივე მხრივ საარტილერიო სროლა სწარმოებდა და მზვერავები მოქმედებდნენ. ჩვენი არტილერიისა და სნაიპერების ცეცხლით გაწყვეტილია 300-მდე ჰიტლერელი, დანგრეულია 4 ძელმიწური საცეცხლე წერტი და აფეთქებულია მტრის საომარ მასალათა საწყობი. საბჭოთა მეზენიტეებმა ჩამოაგდეს მტრის 5 თვითმფრინავი. ერთი ბომბდამშენი ჩამოაგდო სერჟანტ მირონოვის საზენიტო ქვემეხის გუნდმა, რომელსაც თავის ანგარიშზე უკვე აქვს გერმანელთა 7 მოსპობილი თვითმფრინავი.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ნაწილების სნაიპერებმა დღის განმავლობაში 215 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს.

* * *

კარელია-ფინეთის საბჭოთა რესპუბლიკის ერთ-ერთ ოკუპირებულ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა უკანასკნელ ხანს მოსპო მტრის 9 სატვირთო ავტომანქანა, სამ კილომეტრზე მეტ მანძილზე ამოსპრა ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზი და გასწყვიტა 65 თეთრფინელი. კარელია-ფინეთის პარტიზანთა სხვა რაზმის ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო ფრონტისაკენ მიმავალი სარკინიგზო ეშელონი. დამტვრეულია ორთქლმავალი და 21 ვაგონი. მოკლული და დაჭრილია მტრის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ამ დღეებში ტურკუს ახლოს (ფინეთი) დაიწვა დიდი წისქვილი. ხანძარმა მოსპო შენობები, მანქანები, აგრეთვე 2.000 ტონაზე მეტი მარცვალი და ფქვილი, რაც განკუთვნილი იყო ფინეთში მყოფი გერმანელი ჯარისათვის. ფიქრობენ, რომ წისქვილს ცეცხლი წაუკიდეს ფინელმა პატრიოტებმა ფინეთის მოსახლეობისათვის დაწესებული სურსათის საშიმშილო ნორმების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

### 13 ნოემბრის საღამოს ცნობა

13 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში, **ტუაფსეს** ჩრდილო-აღმოსავლეთით და **ნალჩიკის** სამხრეთ-აღმოსავლეთით. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

12 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ავიაციის მიერ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე დამსხვრეულია მტრის 50-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, სარკინიგზო შემადგენლობა, ჩახშობილია 4 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია მტრის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის რაიონში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები. ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მტრის მრავალრიცხოვანი იერიშები და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მას. ქალაქის დამცველები თავდადებით იცავენ ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწას. 12 მებრძოლმა ზემდეგ ტრუშკინის მეთაურობით მოიგერია გერმანელთა ასეულის სამი იერიში. 4 საათის განმავლობაში საბჭოთა მებრძოლების ამ ჯგუფმა გასწყვიტა მტრის ორ ოცეულამდე ქვეითი ჯარი და ამასთან თვითონ არავითარი ზარალი არ მოსვლია. ქარხნების რაიონში 6 ნაწილის მებრძოლებმა დღის განმავლობაში დააზიანეს მტრის ტანკი, მოსპეს 2 ქვემეხი, 7 ტყვიამფრქვევი და გასწყვიტეს 150 ჰიტლერელი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით 6 ნაწილის არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით მოსპობილია მტრის 3 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 3 დაზგის ტყვიამფრქვევი და გაფანტულია ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. იმ ნაწილის სნაიპერებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. პოსტრევიჩი, 34 ჰიტლერელი დახოცეს. იმ ნაწილის სნაიპერებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. ვიაზმინი, 57 გერმანელი გასწყვიტეს. საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 2 თვითმფრინავი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ. ტანკისტებმა ამხ. დერგუნოვის მეთაურობით მოსპეს გერმანელთა 21 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა, 12 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი მათი გუნდებიანად და გასწყვიტეს 300-მდე ჰიტლერელი. ამ ბრძოლაში ტანკის ეკიპაჟმა ლეიტენანტ კორნიენკოს, მექანიკოს-წამყვან გულაენკოს, კოშკურის მეთაურ დუბინინისა და რადისტ სმირნოვის შემადგენლობით მოსპო გერმანელთა 5 ტანკი, 3 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და 4 ავტომანქანა. ტანკის ეკიპაჟმა ლეიტენანტ სამუსენკოს მეთაურობით მტრის 3 ტანკი მოსპო. მებრძოლთა ჯგუფი ზემდეგ ამბუშინოვის მეთაურობით გარშემორტყმულ იქნა მტრის ტანკების მიერ. ამხ. ამბუშინოვი გერმანელთა ტანკზე შეხტა, სარკმელი გააღო და შიგ გრანატი ჩააგდო, გერმანელთა ტანკი აფეთქდა, და, მისი ეკიპაჟი კი მოსპობილ იქნა.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მთელ რიგ უბნებზე ჰიტლერელებმა რამდენიმე იერიში მოიტანეს. ჩვენი თავდაცვის ცეცხლით მტერი უკუგდებულია პირვანდელ პოზიციებზე. ერთი მაღლობის რაიონში მებრძოლებმა ამხ. კუზმინის მეთაურობით სწრაფი კონტრიერიშით მტერს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს. გერმანელებმა მოკლულთა სახით 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩვენი თავდაცვის წინა კიდეზე ჩამოგდებულია გერმანელთა 3 თვითმფრინავი. გარდა ამისა, ჩვენი მფრინავების მიერ საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია მტრის 2 თვითმფრინავი.

* * *

ვორონეჟის რაიონში კანტიკუნტი საარტილერიო და სანაღმსტყორცნო სროლა იყო ორივე მხრივ. იმ ქვემეხის გუნდმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. დმიტრიევი, მოსპო გერმანელთა 2 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ერთ ოცეულამდე ქვეითი ჯარი. წითელარმიელებმა ამხ. ბანდურამ და კუზნეცოვმა სასანგრო სასვლელი გათხარეს მტრის დაზიანებული ტანკისაკენ, რომელიც ჩვენი და გერმანელების პოზიციებს შუა გაეხირა. გაბედულმა მებრძოლებმა ტანკის მუხლუხებში დაამაგრეს ტანკსაწინააღმდეგო თოფი და დღის განმავლობაში მტრის 8 საცეცხლე წერტი მოსპეს.

* * *

სუმის ოლქში მოქმედი პარტიზანული რაზმი ოქტომბერში გერმანელთა გარნიზონებს თავს დაესხა სამ დასახლებულ პუნქტში. სასტიკ ბრძოლებში პარტიზანებმა გასწყვიტეს 200-მდე გერმანელი ფაშისტი დამპყრობი, მოსპეს 2 ჯავშნიანი მანქანა, ააფეთქეს 3 საწყობი საომარ მასალიანად და ხელთ იგდეს დავლა.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა დახვრიტეს სტალინგრადის ოლქის ბელიავსკის ხუტორის 150-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები. გამხეცებული ბანდიტები ეზოებში ერეკებოდნენ ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს და ავტომატებით ხვრეტდნენ მათ. ცოცხლად გადარჩენილი გლეხები ჰიტლერელებმა მოწინავე პოზიციებზე გარეკეს თავდაცვითს ნაგებობათა საშენებლად.

* * *

კინკლაობა და შუღლი კვისლინგელთა ბანაკში სულ უფრო მწვავე ფორმებს იღებს. ქალაქ ოსლოში ნორვეგიელ „სს"-ელთა ჯგუფმა უარი სთქვა გამგზავრებულიყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. „სს"-ელებმა სცემეს კვისლინგელ მინისტრ ფუგლსანგს, კვისლინგის პირად ადიუტანტს კაპიტან ლანგლის და ნორვეგიის სხვა ფაშისტ მეთაურებს. როგორც იუწყებიან, კვისლინგმა წინადადება მისცა თავის თანამონაწილეებს, არასასურველი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად რამდენიმე ხანს საზოგადოებრივ ადგილებში ნუ გამოჩნდებითო.

## მტრის დასაყრდენი პუნქტის დაკავება

**მოქმედი არმია,** 13 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ამასწინათ სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით 6 ნაწილმა დაამარცხა რიცხობრივად ჭარბი მტერი და ხელთ იგდო დიდი დასახლებული პუნქტი. ამან აღაფრთოვანა ნაწილის მებრძოლები და მეთაურები. წითელარმიელებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა რამდენიმე კონტრიერიში, უკუაგდეს ისინი და ახალ-ახალი იერიშები მიაქვთ, რათა გაიუმჯობესონ პოზიციები და გამარჯვება განიმტკიცონ.

ბრძოლების მსვლელობაში მტერს დიდი ზარალი მოსდის. ჩვენი ნაწილების მიერ განთავისუფლებული პუნქტის მცხოვრებნი ამბობენ, რომ მტრის უახლოესი ზურგის ყველა სოფელი სავსეა დაჭრილებით. ამასვე ადასტურებენ ჩვენი მებრძოლების მიერ წამოყვანილი ტყვეები. მათი სიტყვით, დაჭრილები ვერ გაჰყავთ სატრანსპორტო საშუალებათა უქონლობის გამო. იგივე მიზეზი აფერხებს მომარაგებას. განსაკუთრებით ცუდად მარაგდებიან რუმინელი ჯარისკაცები. რუმინელი ტყვეების ჩვენებით, ისინი თითქმის ერთიორად ნაკლებ პურს ღებულობენ, ვიდრე გერმანელი ჯარისკაცები. რუმინელთა ნაწილი, რომელიც მხოლოდ ამ დღეებში მოვიდა ამ უბანზე, მარიუპოლიდანვე ქვეითად მოდიოდა.

**ი. ბასი**

## დიდი სტალინის მოხსენებამ საწარმოებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია

### საწარმოო აღმავლობა ბელადის სახელობის ქარხანაში

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის—ამხანაგ **სტალინის** 1942 წლის 6 ნოემბრის ისტორიულმა მოხსენებამ მძლავრი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია. **სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში** ომიანობის დროის სტახანოველებმა ბელადის მოხსენების შემდეგ კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით, მეტი თავდადებით მოჰკიდეს ხელი დავალებათა შესრულებას.

№ 26 სპეცსაამქრო (უფროსი მ. თევზაძე), რომელიც ფრონტის დაკვეთებზე მუშაობს, ბელადის მოხსენების პასუხად აღებულ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებს, ყოველდღიურად აჭარბებს სადღეღამისო გრაფიკს. ამ საამქროს ზეინკლები ზ. ჯღანტიაშვილი, გ. პეტროსიანი, გ. სუხიტაშვილი და ხარატი კუხარენკო ნოემბრის პირველ ხუთდღიურში ყოველდღიურ დავალებას 250 პროცენტამდე ასრულებდნენ. დიდი სტალინის მოხსენების შემდეგ მათ ეს მაჩვენებელი 300 პროცენტამდე გაზარდეს. ამავე საამქროს ორდენოსანი ხარატი ი. ხაჟალია ფრონტული მუშაობის მაგალითებს იძლევა. მისი გეგმის შესრულება 7 ნოემბრის შემდეგ 300-320 პროცენტს უდრის.

სამხედრო დაკვეთებს სახელოვნად ასრულებს № 25 სპეცსაამქრო, რომელსაც მ. სიმონიანი ხელმძღვანელობს. ეს საამქრო მომჭირნეობით ხარჯავს მასალას, მოფიქრებულად იყენებს თითოეულ დეტალს, გადაჭარბებით ასრულებს სადღეღამისო გრაფიკს. ამ საამქროს ზეინკალმა მედალოსანმა ს. ბაბაევმა, ხარატმა ლუზგინმა, მღარველმა ზელენევმა, ზეინკალმა მ. შიოლაშვილმა ბელადის მოხსენების შემდეგ საგრძნობლად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. ისინი ახლა ყოველდღიურ დავალებას 300-350 პროცენტით ანაღდებენ.

საელმავლო საამქრომ, რომლის უფროსია ორდენოსანი ვ. გოცირიძე, 11 თვის გეგმა 10 ნოემბრისათვის შეასრულა. მას ამ გეგმის შესრულება გათვალისწინებული ჰქონდა 23 ნოემბრისათვის. დავალების 12 დღით ადრე განაღდება—ეს იყო საქმით პასუხი ბელადის მოხსენებაზე.

წარმატებით ასრულებს დავალებას ამ საამქროს მ. ხატიაშვილის საზეინკლო ბრიგადა, რომელმაც 12 დღეში შესასრულებელი სამუშაო დიდი ბელადის მოხსენების პასუხად 4 დღეში შეასრულა. ბრიგადაში შედიან სტახანოველები ნ. ვარლამოვი, ი. ბადრიძე და მ. კარეცკი. აღნიშნული ბრიგადა ახლა სხვა ბრიგადასაც ეხმარება.

საელმავლო საამქროში მოწინავედ ითვლება აგრეთვე ა. მისკაროვის ბრიგადა მაისურაძის, ვასილიევისა და ანდრიანოვის შემადგენლობით. ამ ბრიგადამ ორი კვირის დავალება 7 დღეში გაანაღდა.

**ვ. ზურაბიშვილი**

### კიროველები ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს

**კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის** კოლექტივმა, რომელმაც წლიური დავალება 10 თვეში გადამეტებით შეასრულა, პირველი დღიდანვე დაიწყო ბრძოლა დიდი ბელადის—ამხანაგ **სტალინის** ისტორიული მოხსენების პასუხად აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ამხანაგ სტალინის მოხსენების შემდეგ პირველ ხუთდღიურში საწარმოო დავალებათა შესრულებაში საგრძნობლად დაწინაურდა № 12 საამქრო (უფროსი ამხ. ხორინი). ამ საამქროს არ ჩამორჩა მექანიკური საამქროც, სადაც უფროსად ამხ. მანუკოვია. ეს ორი საამქრო სახელმწიფო დავალებას ყოველდღიურად ორმაგად და სამმაგად ასრულებს.

ქარხნის სტახანოველმა მღარველმა ამხ. ლომიანენკომ, რომელიც დღიურად 2½-3 ნორმას იძლეოდა, ამხანაგ სტალინის მოხსენების პასუხად 8 და 9 ნოემბერს დღიური პროგრამა 600-600 პროცენტით გაანაღდა. ზეინკლები ბენდიანაშვილი და ხუციშვილი ყოველდღიურად ხუთ-ექვს ნორმას იძლევიან.

ცნობილი სტახანოველი ამხ. სპირანდი ყოველდღიურ დავალებას 800 პროცენტით ასრულებს, ხოლო ამხ. ბელუკოვი ნაცვლად ვალდებულებით აღებული 500 პროცენტისა დღიურად 900-1.000 პროცენტს იძლევა.

მთლიანად ქარხანამ ნოემბრის პირველი დეკადის დავალება გადამეტებით შეასრულა და შინარესურსების ფართოდ გამოყენების ხარჯზე საგრძნობლად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

**ი. შოროქნელი**

### ბელადის მოხსენებას საქმით უპასუხებენ

ახალი **შრომითი** აღმავლობით უპასუხებენ ამხანაგ **სტალინის** ისტორიულ მოხსენებას **თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის** მუშაკები.

საიარაღო საამქრომ (უფროსი ამხ. ჭინჭარაძე) და № 7 მექანიკურმა საამქრომ (უფროსი ამხ. გოგიშვილი) საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა. ეს საამქროები საწარმოო დავალებებს პირნათლად ასრულებენ და მტკიცედ იცავენ მომჭირნეობის რკინისებურ კანონს.

საიარაღო საამქროს სტახანოველი ამხ. ხარაჯიძე, რომელიც დღიურად ორ ნორმას იძლეოდა, ბელადის მოხსენების შემდეგ დღიურ საწარმოო პროგრამას 400-500 პროცენტით ანაღდებს. ამავე საამქროს ხარატები ამხ. მიქელიანი და ირემაძე ვალდებულებით ნაკისრი 200 პროცენტის ნაცვლად საწარმოო დავალებას 300-400 პროცენტით ასრულებენ.

ქარხანაში ერთი თვის წინათ მოსული ყოფილი დიასახლისი ამხ. ქეთო გიგაური კარგად დაეუფლა თავის სამუშაო დაზგას, 7 ნოემბრიდან იგი დამოუკიდებლად მუშაობს და დღიურ გეგმას 300-350 პროცენტით ასრულებს.

გეგმების შესრულებაში თავი გამოიჩინეს ხარატებმა ამხ. კადაკოვმა და სკიბამ. პირველმა 11 და 12 ნოემბერს დღიური დავალება 873 პროცენტით შეასრულა, ხოლო მეორემ— 820 პროცენტით.

დიდი ბელადის ისტორიული მოხსენების პასუხად ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად იბრძვის, რათა კიდევ უფრო გააძლიეროს ფრონტისადმი დახმარება, მისცეს ჩვენს ქვეყანას რაც შეიძლება მეტი და მეტი პროდუქცია.

### ქარხანამ მეტი თავდაცვითი პროდუქცია დაამზადა

**26 კომისრის სახელობის ქარხნის** მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივი ენერგიულად იბრძვის დიდი **სტალინის** 1942 წლის 6 ნოემბრის ისტორიული მოხსენებისა და 7 ნოემბრის ბრძანების პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. განსაკუთრებით დაწინაურდნენ ამხ. ი. ტოპიკაშვილის, კ. ზარდალოვის, აკოფოვის და ხაჯიევის ბრიგადები.

ტოპიკაშვილის ბრიგადას ნაკისრი აქვს გეგმების 200 პროცენტით შესრულება. განვლილ 5 დღეში ამ ვალდებულებას პირნათლად ასრულებენ. ამხ. კ. ზარდალოვის ბრიგადამ იკისრა ყოველდღიური გეგმების 200-220 პროცენტით შესრულება, განვლილ 5 დღეში ფაქტიურად გეგმები შესრულებული აქვთ 250 პროცენტით. აკოფოვის ბრიგადა ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ ჩამორჩენილთა შორის ითვლებოდა, ამჟამად მოწინავეთა რიგში ჩადგა.

ქარხნის მოწინავე ადამიანები დაუღალავად იბრძვიან იმისთვის, რომ დროზე და გადაჭარბებით შეასრულონ ბელადის ისტორიული მოხსენების პასუხად ნაკისრი საწარმოო ვალდებულებები.

ქარხნის მუშათა კოლექტივი უფრო ენერგიულად და მონდომებით მუშაობს. გააუმჯობესეს მუშაობა წარმოების მეთაურებმა— საამქროთა უფროსებმა და ოსტატებმა. ყოველივე ამის შედეგად უკანასკნელ ხუთდღიურში ქარხანამ 5 პროცენტით მეტი თავდაცვითი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე წინა ხუთდღიურში.

**დ. ამირანიძე**

### იძლევიან ქვანახშირს გეგმის გადამეტებით

**ტყიბული** („კომუნისტის" საკ. კორ.). ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავი ტყიბულის მაღაროელებმა ქვანახშირის ამოღების გადიდებით აღნიშნეს. სტალინის სახელობის მაღარო ყოველდღიურად გეგმის შესრულებას რამდენიმე ტონით აჭარბებს.

მაღაროში საუკეთესოდ მუშაობენ ს. გაბრიაძის, გ. გაბელაშვილის, ა. კუბლაშვილის, მ. ხაინდრავას, ი. კუპრაშვილის უბნები და ცვლები. ოქტომბერში გაბელაშვილის ცვლამ გეგმის გადამეტებით 275 ტონა ქვანახშირი ამოიღო. ცვლამ გეგმა შეასრულა 4 ნოემბერს 154 პროცენტით, ხოლო 5 ნოემბერს—157 პროცენტით. ნოემბრის ხუთი დღის დავალება მეორე უბანმა ს. გაბრიაძის ხელმძღვანელობით 110.6 პროცენტით გაანაღდა.

დასავლეთ შახტის მეოთხე უბანი ქვანახშირს გეგმის გადამეტებით იძლევა. ამხანაგ სტალინის 1942 წლის 6 ნოემბრის მოხსენებამ და 7 ნოემბრის ბრძანებამ ტყიბულის მაღაროებში შრომის უდიდესი აღმავლობა გამოიწვიეს.

**დ. საბელაშვილი**

## სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით

**მოქმედი არმია,** 13 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მტრის ქვეითი ჯარის ჯგუფი ცდილობდა იერიში მოეტანა საბჭოთა პოზიციებზე. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა თოფისა და ტყვიამფრქვევის ძლიერი ცეცხლით შეაჩერეს, ხოლო შემდეგ უკუაგდეს გერმანელები და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მათ. მეზობელ უბანზე არტილერისტებმა და ნაღმსტყორცნელებმა მარჯვე ცეცხლით ჩაახშეს მტრის სამი დაზგის ტყვიამფრქვევის ცეცხლი, გაჰფანტეს და გასწყვიტეს ბევრი ფაშისტი.

სტალინგრადის რაიონში ზამთარი დადგა. გერმანელები საჩქაროდ თხრიან ბლინდაჟებს და ათბუნებენ მათ.

მარჯვე მსროლელები მტერს დიდ ზარალს აყენებენ, საშუალებას არ აძლევენ მას გამაგრდეს დაკავებულ ზღუდეებზე. სნაიპერმა კლოჩკოვმა ორი დღის განმავლობაში 44 გერმანელი დახოცა.

## საბჭოთა ტორპედოსტების ზალპები

**შავი ზღვის ფლოტი,** 13 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სატორპედო კატერი უფროსი ლეიტენანტ გურინის მეთაურობით შეუმჩნევლად შევიდა მტრის ნავსადგურში. მეორე ხარისხის ზემდეგმა ხოლოპცევმა ბრძოლისათვის გაამზადა ტორპედო. როცა მიზნამდე ერთნახევარი კაბელტოვი დარჩა და კატერი გაჩერდა, ხოლოპცევმა ისროლა ტორპედო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჰაერი ძლიერმა აფეთქებამ შესძრა. მტრის ტანკერი ხშირი კვამლის ბოლქვებით დაიფარა, იფეთქა ხანძარმა. ყურე სხვადასხვა მხრივ პროჟექტორებმა გაანათა. მტრის სანაპირო ქვემეხებმა სროლა ასტეხეს. კატერი საბრძოლოდ შებრიალდა და ისროლა მეორე ტორპედო, რომელმაც ნავსაბმელი დაანგრია.

გურინმა საბრძოლო დავალება შეასრულა და გაშლილი ზღვისაკენ გაემართა. მალე მტრის ორი სატორპედო კატერი გამოჩნდა. გაიმართა საარტილერიო დუელი. ბრძოლის ადგილას მტრის კიდევ ორი გემი მოვიდა. შავზღვევლებმა თავი როდი მოარიდეს ბრძოლას. კომენდორმა სავენკომ პირდაპირ მოახვედრა ყუმბარა და დაამსხვრია მტრის ერთი კატერის მოტორები. ასეთივე ბედი ეწია მტრის მეორე კატერს. ორმა სხვა კატერმა უკან დაიხია.

**მ. ტუროვსკი**

# დიდი სამამულო ომის ფრონტებზე



მოქმედი არმია (ჩრდილოეთ კავკასია). სურათზე: გვარდიელ კაზაკთა ქვეგანაყოფი მდინარეზე გადადის. ფოტო კ. ოზერსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## პოდპოლკოვნიკი გ. ი. ჩიტაიშვილი

(„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

შორბმბდამშენი ავიაციის № ნაწილში გმირულად იბრძვის პოდპოლკოვნიკი გრიგოლ იოსების-ძე ჩიტაიშვილი ქალაქ მახარაძიდან. მამაცი ...

## გმირული ბრძოლით ანადგურებენ მტრის ურდოებს

მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა შვილები თავდადებული სიმამაცისა, შეუპოვრობისა და სიმტკიცის, გამძლეობისა და გამარჯვების უნარს იჩენენ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე. ისინი სანიმუშოდ ასრულებენ სარდლობის საბრძოლო დავალებას და დაუნდობლად ულეტენ ჰიტლერელ ავაზაკებს, ანადგურებენ მათს ...

ბრძოლაში შეუპოვრობისა და სიმტკიცის ნიმუში გვიჩვენა წითელარმიელმა ერანოსიანმა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს იგი მტრის ვარემოცვაში აღმოჩნდა. მას გარს შემოერტყა ოცამდე ფაშისტი. ამხ. ერანოსიანი არ დაიბნა. მან ზუსტი სროლით აიძულა მტერი ჩაწოლილიყო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ამხ. ერანოსიანისაკენ ხოხვით წამოვიდა 7 ჰიტ- ...



# ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 11 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს თემთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა ჩერჩილმა. მან სთქვა, რომ თემთა პალატას უნდა მისცეს მიმოხილვა ეგვიპტეში მომხდარი ბრძოლის შესახებ, რომელიც „ინგლისის პირველხარისხოვან გამარჯვებას" წარმოადგენს, აგრეთვე მიმოხილვა ოპერაციის მეორე ნახევრისა, სახელდობრ—ჩრდილოეთ აფრიკაში ამერიკის და ინგლისის ჯარების გადას- ...

... მხრივ ან სხვა რომელიმე მხრივ ვერ შესძლებდა ვეიძულებინე მე, როგორც ისეთი პირი, რომელსაც მთავარი პასუხისმგებლობა აკისრია, დავთანხმებოდი ისეთ ოპერაციას, რომელიც, როგორც ჩვენმა სამხედრო მრჩევლებმა დამარწმუნეს, დიდ უბედურებამდე მიგვიყვანდა.

მე მეკითხებოდნენ: რათ უქმნიდით რუსებს ცრუ იმედებს? რატომ მიეცით სანქცია შეერთებული შტატებთან და რუსეთთან ერ- ...

... ლის სარდლობას ... და თან წავიყვანე ... შტაბის უფროსი სერ ალან ბრუკი.

კიდევ უფრო მეტი საჭიროება იყო ასეთი შეხვედრისა, თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ ვაცნობეთ საბჭოთა მთავრობას, რომ ჩვენ ვეცდებით დაგვერწმუნებინა, რომ ევროპაში მეორე ფრონტი ... 1942 წელს, მაგრამ რომ ჩვენ გავაკეთებთ ყოველივეს, რაც ძალგვიძს ...

... ჰიტლერის მეორე არმიისათვის შევქმენით ისეთი პირობები, რომლებშიც იგი შესძლებდა ხელთ ეგდო ინიციატივა და განეახლებინა შეტევა ეგვიპტეში. რამდენადაც მე სრულიადაც არ ვიყავი კმაყოფილი იმ ვითარებით, რომელიც, არსებული ცნობების მიხედვით, მე-8 არმიაში არსებობდა, და დარწმუნებული არ ვიყავი იმაში, რომ, იგი ენდობოდა უმაღ- ...

... ულლი არ იქნებოდა. ... ლოვნად წაიწია წინ. ყველა ჩვენს ნავსადგურში, სადაც კი საჭიროა, შექმნილია და იქმნება უდიდესი ნაგებობანი. მაგრამ ეს მომზადება საკმაო არ არის, და ჩვენთვის ფიზიკურად შეუძლებელი იქნებოდა მოგვეხდინა ეფექტიანი შეჭრა კონტინენტზე 1942 წლის ზაფხულის ან შემოდგომის განმავლობაში. ვერავითარი გავლენა საზოგადოებრივი აზრის ...

... პირო იქნება გამარჯვებით გამოწვეული აღფრთოვანება გამოვიყენოთ ჩვენი ღონისძიებების გასადიდებლად, ჩვენი სისტემის სრულსაყოფად და ჩვენი მეთოდების შემდგომ გასაუმჯობესებლად. სწორედ ასეთი სულისკვეთებით, თემთა პალატის ურყევი მხარდაჭერით, წავალთ წინ ჩვენი ამოცანების შესასრულებლად".

# დაბადების დღე

სერჟანტი ნ. ხუციშვილი

... ქებმა, ისინი სტკეპნიდნენ ჩვენს სანგრებს, მაგრამ უძლური აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ დავემარცხებინეთ. ზარალი განვიცადეთ, მაგრამ მტერმა ვერ გადმოლახა ჩვენი თავდაცვის ზღუდე. ჩვენ ადგილზე დავრჩით, და მე ჩემს თანამემამულე ქართველებს ვუთხარი:

— იდექით მტკიცედ და შეურყევლად, როგორც დგას მყინვარი.

ბრძოლის შემდეგ ჩემს მებრძოლებს გავესაუბრე და ვუთხარი მათ, რომ მალე დავიწყებ მილოცვის მიღებას ჩემი დაბადების დღის გამო.

—სერჟანტო, — შემეკითხა დავით გოგისვანიძე, — როდის დაიბადეთ?

— შვიდ ნოემბერს ჩემი დაბადების დღეა, —ვუპასუხე მებრძოლს, — ამ დღისათვის მოვემზადეთ. ამხანაგებო, საჩუქრები თქვენს მეთაურს, გაადიდეთ თქვენ მიერ დახოცილი ფრიცების ანგარიში.

მე 1917 წლის აგვისტოში დავიბადე, მაგრამ ჩვენს ოჯახში ჩვეულებად შემოიღეს ჩემი დაბადება ედღესასწაულნათ შვიდ ნოემბერს. ჩემი ტოლები სკოლაში შემომნატროდნენ ...

... დაიბადა, როცა საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

გულახდილად შემიძლია ვთქვა, რომ კარგად ვცხოვრობდით. ვიგონებ მთელ ჩემს სიცოცხლეს. აი ის სახლი თელავში, სადაც დავიბადე. ვაზები მზის შუქისაკენ აწვდილან. თავს დამცქერის ლაჟვარდი. მოკამკამებული ცა. ჩვენ სადად და ბედნიერად ვცხოვრობდით. კახეთის ბავშვები წლითი-წლობით იზრდებოდნენ. სიცოცხლით ივსებოდა ჩვენი თაობა. ჩვენ ვმდიდრდებოდით. ჩვენთვის შენდებოდა სოფლად ახალი სკოლა, ჩვენთვის იცემოდა წიგნები, ჩვენ გატაცებული ვიყავით პატივმოყვარე ოცნებით—რა უნდა გამოვიდეთ ცხოვრებაში? ჩვენ, ჭაბუკებს, მიგვაჩნდა, რომ ყოველივე ის, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ მოიპოვა, ასეც უნდა ყოფილიყო. დიახ, მხოლოდ ასე უნდა ცხოვრება და როგორც სამშობლოს მაღალი, ლაჟვარდი, უსაზღვრო ჰორიზონტებიანი ცა, ისე წმინდა და კეთილშობილური იყო ჩვენი ოცნება.

საუკუნეთა მანძილზე დგანან კავკასიონის მთები, საუკუნეთა მანძილზე რბიან ჩქარი მდინარენი. კავკასიაში ყველაფერი შექმნილი იყო ბუნებისაგან ადამიანის კეთილდღეობისა- ...

... ნენი.

ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებამ გაგვაშლევინა ფრთები. საუცხოო ჩვეულებაა ჩვენს ქვეყანაში. ოქტომბრის ზეიმის დღეებში ჩვენ გვიყვარდა ოცნება, ვადგენდით მომავლის გეგმებს. ჩემს სოფელში კიდევ ერთი სკოლა გაიხსნება. ჩვენ გავაფართოებთ ჩვენს ვენახებს, ჩვენი სამშობლო უფრო მდიდარი იქნება, და მის ადამიანებს კიდევ უფრო საამური ცხოვრება ექნებათ. ჩვენი პირადი გეგმები მთელი ჩვენი ქვეყნის გეგმებს უერთდებოდა. ახლა ჩვენ ყველას ერთი ოცნება გვაქვს—განვდევნოთ მტერი წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყლიდან. გერმანელები შემოესიენ კავკასიონის მთის პირებს, ისინი მოისწრაფვიან ნავთის წყაროებისაკენ, მათ სურთ გადალახონ კავკასიონის ქედი და ველურ ურდოდ შეესიონ საქართველოს, სომხეთის, აჭარის ნაყოფიერ ველებს.

ოსების ერთ სოფელში, საიდანაც ჩვენმა ნაწილებმა მტერი განდევნეს, მებრძოლებმა საშინელი სურათი ნახეს. დანგრეული სახლის გარუჯულ სვეტზე მიკრული იყო პატარა ოსი გოგონა. იგი კვდებოდა დასუსტებისაგან, ფიზიკური წამებისაგან. სოფლის გადარჩენილ მცხოვრებთა გამოკითხვით გამოირკვა, რომ გერმანელებმა შებილწეს ამ გოგონას მშობლები, თავისთან გაირეკეს ისინი, ბავშვს კი ტანჯვით სიკვდილი განუმზადეს. ეს ამბავი ბინდ-ბუნდში ხდებოდა. მე არასოდეს არ დამავიწყდება ოსების ჯგუფი, გარს რომ შემოხვეოდნენ მებრძოლს, რომელსაც ხელში აყვანილი ჰყავდა პატარა, ქანცგამოლეული გოგონა. ოსები სდუმდნენ. მე გავიგე და ვიგრძენი მათი ფიქრები და აზრები. არც დანგრეული სახლ-კარი, არც ძარცვა-გლეჯა, რასაც გერმანელები ამ სოფელში სჩადიოდნენ, —არაფერი ისე არ მოხვედრია კავკასიელის ამაყ გულს, როგორც ამ ნაწამებ გოგონას შეხედვა. ბავშვებისადმი სიყვარული მთის ხალხებში წმიდათა-წმიდაა. ხალხმა გზა დაუთმო, როდესაც მოხუცი, ჯოხზე დაყრდნობილი ოსი წინ წამოდგა. მან ხელი მაღლა ასწია, თითქოს ცას იწვევდა მოწმედ.

— ჰიტლერმა თავისი სისხლით უნდა ზღოს ეს,—სთქვა მოხუცმა.—ჩვენ ყველამ უნდა მოვკლათ იგი. ასეთია სისხლის აღების მკაცრი კანონი.

მე ვუსმენდი მოხუცს, ვუცქეროდი გოგონას, და სიძულვილის ალი გულს მიწვავდა. ჩემმა თანამემამულე დავით გოგისვანიძემ აღელვება შემატყო და მკითხა:

— რა დაგემართა, სერჟანტო?

— თუ თქვენ შვილები გყავთ,—ვუთხარი მე ჩემი ათეულის მებრძოლებს,—თუ გყავთ პატარა ძმები და დები, შეხედეთ ამ გოგონას და იფიქრეთ მათზე.

... მთური სისხლით—რუსებმა, ქართველებმა, უკრაინელებმა, უზბეკებმა, ოსებმა, ბელორუსებმა. სიამაყით მევსება გული, როდესაც ვფიქრობ წითელი არმიის მეომართა ძმობაზე. ჩვენს ნაწილში მხარდამხარ იბრძვიან უზბეკი ჯუმანოვი, რომელმაც გერმანელთა ოთხი ტანკი მოსპო, ციმბირელი მონადირე კოხასკო, რომელმაც 23 გერმანელი გაგლიტა, ქართველი მამარდაშვილი, რომელმაც მტრის სამი საცეცხლე წერტი დაამსხვრია, უკრაინელი პროკოპენკო, რომელმაც მოწინააღმდეგის სატყვიამფრქვევო გუნდი მოსპო. პროკოპენკოს სამშობლო, უკრაინა, გერმანელებმა დაიპყრეს. ახლა იგი კავკასიის მიწაზე იბრძვის თავისი უკრაინისათვის. ჯუმანოვი იბრძვის თავისი უზბეკეთისათვის, ყველანი ერთად კი ვიბრძვით ჩვენი დიადი სამშობლოსათვის.

ლამაზია კავკასიონის მთები. მრისხანე და მიუვალია მაღალი კლდეები. საქართველოს მატიანეთა თქმულება გადმოგვცემს, რომ ძველად დარიალის ხეობაში კავკასიის კარიბჭე არსებობდა. ის მაგრად იყო დახშული ყაჩაღთა და ველურ ტომთა შემოსევისაგან თავის დასაცავად. ახლა ჩვენ რკინის კედლად უნდა დავდგეთ კავკასიონის მთისპირებში და დავამსხვრიოთ ფაშისტთა ურდოების შემოტევა. გერმანელებმა დაღუპვა უნდა ჰპოვონ კავკასიონის მთებთან. ჩვენთვის და ჩვენი შვილებისათვის უნდა იელვარონ კავკასიონის მწვერვალებმა. ჩვენთვის უნდა მწიფდებოდეს ყურძენი.

აი ის ფიქრები და აზრები, რომლებითაც ვხვდები ჩემი დაბადების დღეს—ოქტომბრის წლისთავს. ეს ფიქრები მაძლევენ სიმხნევეს და მინერგავენ გამარჯვების რწმენას. სამასი მეტრი ჰყოფს ჩემი ათეულის ზღუდეს მტრის სანგრებისაგან. ახლა სიწყნარე ჩამოვარდა. მზე დასავლეთისაკენ იხრება, და მთები ჩამობნელდა. მაგრამ ბრძოლამ შეიძლება ყოველ წუთს იფეთქოს. მე ვუცქერი ჩემს მშობლიურ მთებს, და, ვით შორეული წარსული სიმღერა, კავკასიონის მთების გადაღმიდან მესმის რაინდ ავთანდილის ამაყი, გამამხნევებელი სიტყვები:

რა უარეა მამაცსა,
ომშიგან პირის-მხმეჭელსა,
შედრეკილ-შეშინებულსა
და სიკვდილისა მეჭველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს
დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა!

მოზდოკის რაიონი.

(„კრასნაია ზვეზდა", 3/XI).

## უკანასკნელი ცნობები

### სსრ კავშირსა და შვეციას შორის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საზეიმო სხდომა

სტოკჰოლმი, 12 ნოემბერი (საკდესი). ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავთან დაკავშირებით, სტოკჰოლმში შესდგა სსრ კავშირსა და შვეციას შორის კულტურული და ეკონომიური ურთიერთობის საზოგადოების საზეიმო სხდომა. დაესწრნენ: გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები, არტისტები, მრეწველები და ჟურნალისტები. სხდომა გახსნა საზოგადოების ვიცე-თავმჯდომარემ, მედიცინის დოქტორმა ადა ნილსონმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა შვეციის საზოგადოებრიობის ღრმა სიმპატია საბჭოთა ხალხის გმირული თავდადებული ბრძოლისადმი თავისი თავისუფლების, კულტურისა და ცივილიზაციისათვის. მოხსენება „სსრ კავშირი და შვეცია" გააკეთა რიქსდაგის სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა გეორგ ბრანტინგმა. მრავალრიცხოვანი აუდიტორიის ტაშის გრიალში იგი ლაპარაკობდა სსრ კავშირსა და შვეციას შორის მეგობრული კავშირის განვითარებისა და განმტკიცების საჭიროებაზე. კრებამ მისალმების დეპეშა გაუგზავნა მ. ი. კალინინს.

სტოკჰოლმის უდიდეს დარბაზში—„აუდიტორიუმში" — შესდგა მიტინგი, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავისადმი. მიტინგს 2.000 კაცი დაესწრო.

### მიტინგები და დემონსტრაციები ავსტრალიაში ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავთან დაკავშირებით

სიდნი, 13 ნოემბერი (საკდესი). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის დღე ზეიმით აღინიშნა მთელ ავსტრალიაში. კანბერაში (ავსტრალიის დედაქალაქი) მთავრობის შენობებზე გამოფენილი იყო საბჭოთა ალმები. სიდნეიში, მელბურნსა და ავსტრალიის სხვა დიდ ქალაქებში მასობრივი მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა. მიტინგებზე ილაპარაკეს ორატორებმა, რომელნიც მხურვალედ იხსენიებდნენ წითელი არმიისა და სსრ კავშირის სამოქალაქო მოსახლეობის მამაცობასა და სიმტკიცეს.

ავსტრალიის ათობით ორგანიზაციამ მისალმება გაუგზავნა საბჭოთა ხალხს.

### ფრანკოს პასუხი რუზველტის წერილზე

ნიუ-იორკი, 13 ნოემბერი (საკდესი). რუზველტმა განაცხადა, რომ მან გენერალ ფრანკოსაგან დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო თავის მიმართვაზე.

### საჰაერო განგაში ვიშიში

ჟენევა, 13 ნოემბერი (საკდესი). ვიშის რადიოსადგური იუწყება, რომ ვიშში დღეს ორჯერ გამოცხადდა საჰაერო განგაში. ახლო მდებარე აეროდრომმა თავდასხმა განიცადა.

### ჰიტლერელები პოლონელებს ერეკებიან მათი მიწებიდან

სტამბოლი, 13 ნოემბერი (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ჰიტლერის მოადგილემ პოზნანში გრაიზერმა განაცხადა, რომ პოზნანის ოლქში უკვე გადმოსახლებულია 300.000 გერმანელი.

არსებული ცნობებით, მთელ ამ ურდოს უხვად აძლევენ პოლონელების კუთვნილ მიწებსა და სხვა საკუთრებას.




# საომარი მოქმედება ჩრდილოეთ-აფრიკაში

**ლონდონი**, 13 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, კირენაიკით მიმავალი უკანდახეული მტრის დევნისას მე-8 არმიამ დაიკავა ტობრუკი და ბარდია. წამოყვანილია ახალი ტყვეები.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედებით ტობრუკსა და ელ-ჰაზალას შორის ჩაძირულია მტრის რამდენიმე სატვირთო გემი.

აეროდრომების დაბომბვისას ტუნისში მიწაზე მოსპობილია მტრის 19 თვითმფრინავი და ბევრი დაზარალებულია. ხმელთაშუა ზღვაში ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს იტალიელთა 6 სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომლებიც გერმანელთა ჯარიანად ჩრდილოეთით მიემართებოდნენ. ტობრუკის დასავლეთით მოკავშირეთა ავიაციამ მცელავი ფრენით სროლა აუტეხა რომმელის უკანდახეულ ჯარებს. მტრის თვითმფრინავები ბრძოლის მთელ რაიონში სუსტ წინააღმდეგობას გვიწევდნენ.

**ლონდონი**, 13 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, დღეს, დილით, ამერიკელთა დიდმა ძალებმა დაიკავეს ქალაქი ბონი ტუნისის საზღვრის მახლობლად.

ინგლისის სამხედრო წარმოების საქმეთა მინისტრ ლიტლტონის განცხადებით, ჩრდილოეთ აფრიკაში ჯარების გადასხმის ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა 500-ზე მეტი გემი, რომელთაც 350-ზე მეტი სამხედრო ხომალდი ბადრაგობდა.

როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ფიქრობენ, რომ მტერმა მოახერხა ტუნისში სატრანსპორტო თვითმფრინავებით გადაეყვანა არა უმეტეს 500-600 გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრისა.

**ნიუ-იორკი**, 13 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკელთა ჯარებმა ორი დიდი თავდასხმა მოახდინეს ბენგაზის ნავსადგურზე ლიბიაში და კუნძულ კრეტის ქ. კანდიაზე. დამწვარია მტრის ბევრი ავტომანქანა.

**კაირო**, 13 ნოემბერი (საკდესი). აქ მოიყვანეს 30.000 იტალიელი ტყვე, რომელთა შორის 9 იტალიელი გენერალია.

# გერმანიისა და იტალიის ჯარები წინ მიიწევენ საფრანგეთის არაოკუპირებულ ზონაში

**ჟენევა**, 13 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, იტალიის საოკუპაციო ჯარები ქალაქ კანს ჩავიდნენ საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში. სავოიაში იტალიელები მიიწევენ პონ როიალამდე—40 კილომეტრზე დემილიტარიზებული ზონის საბოლოო პუნქტ შამბერიდან.

გერმანიის ჯარებმა დაიკავეს სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო რაიონის სტრატეგიული პუნქტები მდინარე რონის ორივე მხარეზე.

გერმანელთა ერთ-ერთი ნაწილი შევიდა პერიგეში ლიმოჟის სამხრეთ-დასავლეთით.

# გერმანელთა ჯარები საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე მივიდნენ

**ნიუ-იორკი**, 13 ნოემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, გერმანელთა ჯარები საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე მივიდნენ და ესპანეთის, უესკის პროვინციის ჩრდილოეთით განლაგდნენ.

# მღელვარება ლიონში

**ჟენევა**, 13 ნოემბერი (საკდესი). როგორც აქ შეიტყეს, ლიონში გერმანელთა ჯარების შესვლისას ქალაქში დიდი მღელვარება მოხდა. მთელ რიგ რაიონებში მასობრივი ანტიგერმანული დემონსტრაციები დაიწყო. რამდენიმე ცენტრალური ქუჩა, კერძოდ რესპუბლიკის ქუჩა, ბელკურის მოედანი და ის ქუჩები, რომლებიც პერტშის ვაგზლისაკენ მიემართებიან, პოლიციამ გასწმინდა. ვაგზლის რაიონში, როგორც ჰავას-ოფის სააგენტო იუწყება, „წესრიგს ჯარი და ჟანდარმერია იცავს“.

უკანასკნელი ცნობებით, შამბერში, სადაც იტალიელთა ჯარები ჩავიდნენ, აგრეთვე მასობრივი მღელვარება მოხდა. ჟანდარმერია და ჯარი სასტიკად გაუსწორდნენ დემონსტრანტებს.

# ვიშის მეთაურები მლიქვნელობენ დამპყრობთა წინაშე

**ჟენევა**, 13 ნოემბერი (საკდესი). როგორც პარიზიდან იუწყებიან, მეორე დღეს მას შემდეგ, რაც გერმანიის ჯარებმა თავხედურად დაარღვიეს დროებითი ზავის პირობები და საფრანგეთის არაოკუპირებული ზონის ტერიტორიაზე შეიჭრნენ, ვიშის მთავრობის ეგრეთწოდებულმა გენერალურმა დელეგატმა გერმანელთა საოკუპაციო ხელისუფლებასთან პარიზში დე ბრინონმა ჩაიდინა ახალი აქტი მლიქვნელობისა საფრანგეთის დამმონებელთა წინაშე. გერმანელთა სარდალ გენერალ შტიულპნაგელის ნებართვით მან მოაწყო ცერემონია საფრანგეთის სამფეროვანი ალმის აღმართვისა თავისი კანცელარიისა და სასტუმრო „მატინიონის“ შენობაზე, ამ სასტუმროში ლავალის ყოფნის დროს.

## ვიში უარყოფს გერმანიის ჯარების გადასხდომას ტუნისში

**ლონდონი**, 13 ნოემბერი (საკდესი). როგორც აფის სააგენტო გადმოგვცემს, ვიშის რადიომ გაიმეორა დღეს, რომ გერმანელებს სრულიადაც არ უცდიათ ტუნისში შეჭრა ზღვით ან ხმელეთით.

# დარლანის მიმართვა საფრანგეთის ფლოტის მეთაურთა შემადგენლობისადმი

**ლონდონი**, 13 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ადმირალმა დარლანმა რადიოთი მიმართა ტულონში მყოფი საფრანგეთის ფლოტის მეთაურთა შემადგენლობას და მოუწოდა ჩრდილოეთ აფრიკაში ჩაიყვანოს გემები ანდა უკიდურეს შემთხვევაში აიცდინოს ამ ფლოტს გერმანელების მიერ ხელში ჩაგდების საფრთხე.

როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მებრძოლი საფრანგეთის წრეები დარწმუნებული არიან, რომ საფრანგეთის ფლოტი არ დაუშვებს, რომ იგი ჰიტლერმა ჩაიგდოს ხელში. ამტკიცებენ, რომ ტულონთან მყოფი გერმანელთა ჯარები ემზადებიან ოპერაციებისათვის ტულონის ნავსადგურში რეიდზე მდგომი საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო გემების წინააღმდეგ.

# დროებითი ზავის გერმანული კომისიის წევრთა ტყვედ წაყვანა

**ლონდონი**, 13 ნოემბერი (საკდესი). მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გვაცნობა, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში ტყვედ წაყვანილია დროებითი ზავის გერმანული კომისიის წევრთა უმრავლესობა.

# მდგომარეობა ფინეთში

**სტოკჰოლმი**, 13 ნოემბერი (საკდესი). უკანასკნელ დროს ფინეთში მოახდინეს მასობრივი დაპატიმრება იმ პირებისა, რომელთაც ბრალად ედებათ საბოტაჟი და „მტრული პროპაგანდა“. აბოს სამხრეთ გარეუბანში ამას წინათ აფეთქებულ იქნა დინითის დიდი ქარხანა ჰელსინკისა და სხვა ქალაქების მახლობლად მოხდა ფინელთა და გერმანელთა სამხედრო თვითმფრინავების ბევრი ავარია. ყოველივე ამაში ხელისუფალთ დივერსიის არსებობის ეჭვი შეაქვთ.

მოპყრობა საბჭოთა სამხედრო ტყვეებისადმი ფინეთში სულ უფრო მხეცური ხდება. ტყვეებს ხშირად ტანისამოსს ხდიან მოკლულ წითელარმიელებსაც კი.

ჰელსინკისა და სხვა ქალაქების ქუჩებში გახშირდა ჩხუბი ფინელ და გერმანელ ჯარისკაცთა შორის. ურთიერთობა მათ შორის მეტად დაძაბულია. შვებულებაში მყოფი ფინელი ჯარისკაცები ჰელსინკში ძლიერ აწუხებენ ხელისუფალთ. ჯარისკაცებს აკრძალული აქვთ იარაღის ტარება, მაგრამ ამ აკრძალვას არღვევენ. ღამ-ღამობით ხშირად ხდება შეიარაღებული თავდასხმა გერმანელ მოხელეებზე. ამ დღეებში ერთმა ჯარისკაცმა ქუჩაში დანით მიაყენა ჭრილობა თავში გერმანიის საინფორმაციო ბიუროს თანამშრომელს.

# ფინელი ფაშისტი ოკუპანტების მხეცობანი

**სტოკჰოლმი**, 13 ნოემბერი (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, ფინელი ხელისუფალნი განსაკუთრებული სიმკაცრით უსწორდებიან ანგარიშს ოკუპირებული საბჭოთა რაიონების მოსახლეობას. ფინელთა მიერ დაპყრობილ ერთ-ერთ ქალაქში ცეცხლი წაუკიდეს სამხედრო საწყობს. ფინელებმა ამ ქალაქში დააპატიმრეს 100-მდე მცხოვრები. მათ შორის ბევრი ქალი. შემდეგ ყველა ისინი დახვრიტეს. ასეთი მასობრივი დახვრეტა არაერთგზის განმეორებულა. ამჟამად ქალაქის მთელი დანარჩენი მოსახლეობა გაგზავნილია საკონცენტრაციო ბანაკებში გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის ქალები, რომლებიც ჯარისკაცთა სამრეცხაოში მუშაობენ, ან შერეკილი არიან ჯარისკაცთა საროსკიპო სახლებში. ცხოვრების პირობები საკონცენტრაციო ბანაკებში აუწერელია. ერთ ბანაკში იტანჯება 10.000-მდე კაცი. ყოველთვე იქ შიმშილითა და ავადმყოფობით ასობით ადამიანი კვდება.

# შვეციის არმიის მანევრები

**სტოკჰოლმი**, 13 ნოემბერი (საკდესი). ვერმლანდის პროვინციაში სამხრეთ შვეციაში დაიწყო შვეციის არმიის საშემოდგომო მანევრები. მანევრების ადგილას გაემგზავრნენ არმიის სარდალი ჰოლმკვისტი და კავალერიის ინსპექტორი პეირონი. მანევრებში მონაწილეობას იღებენ ქვეითი ჯარი, კავალერია, ავიაცია, სატანკო და მოტონაწილები.

# ომი წყნარ ოკეანეში

**მელბურნი**, 13 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა ჯარებმა გასწმინდეს ოივისა და გორევის რაიონი ახალ გვინეაზე, სადაც მძიმე ზარალი მიაყენეს იაპონელებს. წამოღებულია ბევრი დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა იაპონელთა ბაზას—ბუინ ფაისს სოლომონის კუნძულებზე. ყუმბარები მოხვდა ოთხ გემს, რომლებსაც ჯარები გადაჰყავდათ და საჰაერო ბრძოლებში ველი გადაჰქონდათ. საჰაერო ბრძოლებში გვადალკანარის თავზე ჩამოგდებულია იაპონელთა 17 თვითმფრინავი.

• • •

ჩინელთა სარდლობის ცნობით, იაპონელებმა შეტევა დაიწყეს ისიანის მთებში შანდუნის პროვინციის სამხრეთით, სადაც გაჩაღდა სასტიკი ბრძოლები. ჩინეთის ჯარებს კონტრიერიში მიაქვთ იაპონელთა წინააღმდეგ და მთელ რიგ შემთხვევებში სერიოზულ დარტყმებს აყენებენ მათ. (საკდესი).

# პატრიოტული აღფრთოვანება საბერძნეთში

**ლონდონი**, 13 ნოემბერი (საკდესი). გაზეთ „ტაიმსის“ ცნობით, 28 ოქტომბერს, საბერძნეთში იტალიის შესვლის წლისთავის დღეს, ათენ-ს თითქმის მთელი მოსახლეობა გამოვიდა ქუჩაში შეძახილებით: „თავისუფლება!“. დემონსტრანტებს ყვავილები მიჰქონდათ, რათა შეემკოთ უცნობი ბერძენი ჯარისკაცის ძეგლი. იტალიელთა პოლიციის დიდმა რაზმმა სცადა ჩაეხშო დემონსტრაცია, მაგრამ უძლური აღმოჩნდა მის მონაწილე ათასობით ადამიანთა წინაშე.

მთელს საბერძნეთში დიდი პატრიოტული აღფრთოვანებაა. ათენის პოლიცია მთელ რიგ შემთხვევებში სასროლ იარაღს მიმართავდა დემონსტრანტების წინააღმდეგ. მოკლულია რამდენიმე კაცი და დაჭრილია 50.

# ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობა 1942 წლის 9 თვის განმავლობაში

**ვაშინგტონი**, 9 ნოემბერი (საკდესი). ოფიციალური ცნობების მიხედვით, ამა წლის პირველი 9 თვის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტი, საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე მომხდარ ჩაბარებათა ჩათვლით, შეადგენს 5.457 მილიონ დოლარს—63,6 პროცენტით მეტს, ვიდრე შარშანდელი წლის შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპორტი იმავე პერიოდის განმავლობაში შემცირდა 2.102 მილიონ დოლარამდე, რაც 16,7 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე შარშანდელი წლის პირველ 9 თვეში.

# დავეხმაროთ კოლმეურნეობებს შრომის აღრიცხვის სანიმუშოდ დაყენებაში

აღრიცხვას საკოლმეურნეო მშენებლობაში ისეთივე უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. შეუძლებელია გეგმიანი მუშაობა, თუ აღრიცხვა კარგად არა გვაქვს მოწესრიგებული. დიდი სამამულო ომის დღეებში აღრიცხვის დარგის ბევრი მუშაკი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. მათ ნაცვლად მოვიდნენ ახალგაზრდა კადრები, რომელთაც სერიოზული დახმარება ესაჭიროებათ კვალიფიკაციის ამაღლებაში. საქართველოს სამიწათმოქმედო ორგანოებს დიდი მუშაობა მოელით კოლმეურნეობების ანგარიშწარმოების კვალიფიციური მუშაკებით უზრუნველსაყოფად.

შრომის სწორი ორგანიზაცია კოლმეურნეობებში შეუძლებელია კარგად დაყენებული აღრიცხვის გარეშე. წელს საქართველოს კოლმეურნეობები უხვ [illegible] მოსავალს იღებენ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წესიერად აღრიცხვა, მოსავლისა და შემოსავლის დროულად და სწორად განაწილება მთელი საკოლმეურნეო სოფლის მუშაკთა გადაუდებელი ამოცანაა. ეს გვიკარნახებს გამოვიჩინოთ მეტი ინიციატივა და მოქნილობა ამ მხრივ, დავეხმაროთ კოლმეურნეობებს უდანაკარგოდ აიღონ, უკლებლივ დაიცვან მოსავალი და სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების შესაბამისად გაანაწილონ იგი.

ამას წინათ გაზ. „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიეში" გამოქვეყნდა პენზის ოლქის ქ. სერდობსკის ბუხჰალტრების წერილი, რომლითაც რაიონული ცენტრებისა და ქალაქების ანგარიშწარმოების ყველა მუშაკს მოუწოდეს ჩაებან სოცშეჯიბრებაში აღრიცხვის მოწესრიგების ხაზით კოლმეურნეობებისათვის დახმარების გასაწევად.

მათ იკისრეს შემდეგი ვალდებულებები: ქალაქის ყოველი ბუხჰალტერი და ანგარიშწარმოების მუშაკი მუდმივ კავშირს დაამყარებს ერთ ან ორ კოლმეურნეობასთან და დახმარებას გაუწევს მათ აღრიცხვისა და ანგარიშგების სანიმუშოდ დაყენებაში; დაეხმარებიან კოლმეურნეობათა მოანგარიშეებს გააფორმონ შრომის, სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების აღრიცხვის [illegible] დი დოკუმენტები, [illegible] რგოლებისა და ბრიგადების მიხედვით, რათა ყოველმა კოლმეურნემ, რომელსაც ამის უფლება აქვს, მიიღოს შრომის დამატებითი საზღაური მემინდვრეობისა და მეცხოველეობის დარგში.

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში ჩვენი ვალია კიდევ უფრო განვამტკიცოთ საფინანსო დისციპლინა კოლმეურნეობებში, მივაღწიოთ დებიტორული და კრედიტორული დავალიანების სრულ ლიკვიდაციას, მტკიცედ დავიცვათ კოლმეურნეობათა შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვები.

ქ. სერდობსკის აღრიცხვის დარგის მუშაკთა ეს ძვირფასი ინიციატივა ყოველმხრივ მისასალმებელია. გერმანელ დამპყრობლებთან სასტიკი ბრძოლის პირობებში საქართველოს კოლმეურნეები დაუღალავად მუშაობენ ხალხთა საყვარელი ბელადის და გენიალური მხედართმთავრის დიდი **სტალინის** მითითების განსახორციელებლად — ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მისცენ სულ უფრო და უფრო მეტი პური, ხორცი, ნედლეული მრეწველობისათვის.

საქართველოს აღრიცხვის დარგის მუშაკებო! გადაიღეთ ქ. სერდობსკის ბუხჰალტრების თაოსნობა, დაეხმარეთ კოლმეურნეობების აღრიცხვის დარგის ახალგაზრდა კადრებს, ფართოდ გაშალეთ სოციალისტური შეჯიბრება აღრიცხვის მოწესრიგების ხაზით კოლმეურნეობებისათვის ყოველმხრივი დახმარების გასაწევად.

საქართველოს აღრიცხვის დარგის მუშაკთა ღირსების საქმეა მხურვალედ დაუჭირონ მხარი ქ. სერდობსკის ბუხჰალტრების პატრიოტულ თაოსნობას და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკებთან ერთად რეალური დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს აღრიცხვის საუკეთესოდ დაყენებაში.

**მ. ჭელიძე**

საქ. სსრ მიწსახკომის საორგანიზაციო-საკოლმეურნეო განყოფილების უფროსი.

# სიმტკიცის სკოლა

**ომი** გმირებს წარმოშობს. თვით ომის მსვლელობაში — მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ, სანგრებში და რთულ სამანევრო მოქმედებაში — ვითარდებიან და მტკიცდებიან მებრძოლთა და მეთაურთა ისეთი გადამწყვეტი თვისებანი, როგორიც არის ვაჟკაცობა, სიმტკიცე, მოსაზრებულობა და გამბედაობა, ვითარების სწრაფად შეფასებისა და მყისვე გადაწყვეტილების მიღების, უეცარი დარტყმით მტრისათვის თავზარდაცემის, პოზიციიდან მისი განდევნის და შემუსვრის, განადგურების, გარეკის უნარი.

სამოქალაქო ომის დროს პირველ ხანებში ჩვენ შეგვეძლო მტრისათვის დაგვეპირდაპირებინა მხოლოდ ნაკლებად გამოცდილი ნაწილები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ისეთი მეთაურები, ვისაც სპეციალური სამხედრო სწავლა და გაწრთვნა არ ჰქონდა მიღებული.

იყო დრო, როცა თეთრგვარდიელ ოფიცერთა პოლკები სჯობნიდნენ წითელი არმიის ახალგაზრდა ნაწილებს. მრისხანე, საშიშ დღეებს განიცდიდა ახლად წარმოშობილი, ჯერ კიდევ მოუმაგრებელი საბჭოთა ქვეყანა, რომელსაც მტრებმა ყოველი მხრიდან ალყა შემოარტყეს და რამდენიმე ცენტრალური და ჩრდილოეთი ოლქების ფარგლებში ჩაჰკეტეს! და მაინც მრავალრიცხოვანი მტერი განადგურებულ იქნა. ომმა გვასწავლა საბრძოლო უნარი და ურღვევი სიმტკიცე. თვით ომის მსვლელობაში დავეუფლეთ მაშინ იმ ხელოვნებას, რომ მოგვესპო მტერი, როდესაც იგი შემოტევას სინჯავდა, გაგვენადგურებინა და განგვედევნა იგი, როდესაც თავდაცვაზე გადავიდოდა.

„სამხედრო გამომცემლობამ" ამას წინათ გამოუშვა კ. ოსიპოვის წიგნი „დივიზიის მეთაური კიკვიძე".

რამდენჯერ მოუპოვებია ამ შესანიშნავ მეთაურს ნაკლები ძალებით ბრწყინვალე გამარჯვება გათავხედებულ მტერზე! რა საძნელო, თითქოს გამოუვალი მდგომარეობიდან ღირსეულად გამოუყვანია ხოლმე მას თავისი ნაწილები! რა განსაცვიფრებელი შეუპოვრობით, სიმტკიცით და სიმამაცით იცავდა იგი ყოველ მინდობილ უბანს, უკუაქცევდა იერიშზე გადმოსულ თეთრგვარდიელთა წყებებს, უპასუხებდა მათ მძლავრი კონტრდარტყმებით, აიძულებდა მათ, თითქოს ეს-ეს არის გამარჯვება რომ უნდა ეზეიმნათ, სამარცხვინოდ დაეხიათ უკან და მოეკურცხლათ ბრძოლის ველიდან!

კიკვიძის დივიზია ერთხელ გარშემორტყმულ იქნა, მეზობლებთან მას კავშირი გაუწყდა — და ამ წუთშიც კი კიკვიძე და მის მიერ მზრუნველობით აღზრდილი გმირი მებრძოლები არ დაბნეულან, საბრძოლო სულისკვეთება არ დაუკარგავთ და იმის მოლოდინში, რომ დახმარება მოუსწრებდათ, წარმატებით ზედიზედ იგერიებდნენ იერიშებს.

თათბირზე ვიღაცამ წარმოსთქვა: „გარემოცვა",—და მაშინ კიკვიძემ თვალი მოავლო მეთაურთა მოღუშულ სახეებს და აუღელვებლივ, თითქმის ოხუნჯობით სთქვა:

— რაც შეეხება გარემოცვის მუდმივ შიშს, ახლანდელი ომის პირობებში ორგანიზებული ნაწილისათვის გარემოცვა საშიში არ არის, არამედ საშიშია მხოლოდ ეს სიტყვა... გარემოცვისათვის საჭიროა სამჯერ-ოთხჯერ მეტი ძალები, წინააღმდეგ შემთხვევაში გარემოცვაში მოყოლილს შეუძლია გაარღვიოს ფრონტი და თვითონ შეუქმნას საფრთხე გარემომცველს. გარდა ამისა, გარემომცველი თვითონ განიცდის ჩვენი მეზობლების დარტყმებს. ჩვენ გვინახავს მტრის ღრმად შემოჭრა ჩვენს ზურგში, ალაგებზე თავდასხმა, მაგრამ არა გარემოცვა".

კიკვიძის დივიზია მამაცურად იბრძოდა და კვლავ გამარჯვებული გამოვიდა საშიში, უაღრესად მძიმე განსაცდელიდან.

კ. ოსიპოვის წიგნი წარმოადგენს ნარკვევს დივიზიის სახელოვანი მეთაურის საბრძოლო მოქმედებაზე და სასარგებლო იქნება წითელი არმიის მებრძოლებისათვის, რომლებიც ახლა, გერმანელ ფაშისტთა ურდოებთან ბრძოლებში, გადიან სიმამაცის, სიმტკიცისა და გმირობის სკოლას.

**ა. ისაევი**

(„ოგონიოკ", № 37.).

## თეატრებში

**15 ნოემბერს: საოპერა** დღისით—„ფაუსტი", საღამოს — „სამსონ და დალილა". **რუსთაველის სახელობის** — დღისით—„ოტელო", საღამოს — „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი". **მარჯანიშვილის სახელობის** — დღისით—„ხანუმა", საღამოს—„მეფე ერეკლე". **გრიბოედოვის სახელობის**—დღისით და საღამოს—„მაშენკა". **სომხური თეატრი**—დღისით—„კინტო", საღამოს — „ინჟინერი სერგეევი". **ახუნდოვის სახელობის**—დღისით —„უნზულა", საღამოს—„მაშდი იბად". **მუსიკალური კომედიის**—„დღისით და საღამოს—„არშინ-მალ-ალან". **სანკულტურის**—„ვერბიცკის ცდები".

## კინოებში

**რუსთაველის სახ.** — „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან", **ოქტომბერი** — „საბრძოლო კინოკრებული № 12", **დამკვრელი**—„ახალ ცხოვრებისაკენ", **კომკავშირელი** — „რუსლან და ლიუდმილა", **სპარტაკი** — „კორზინკინას თავგადასავალი". **ლუქსემბურგის სახ.**—„ვოლგა-ვოლგა", **26 კომ. სახ.**—„აიგიულ", **კომინტერნი**—„საბრძოლო კინოკრებული № 11".

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**

ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრის კოლექტივი იუწყება, რომ 15/XI, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე, პანთეონში დანიშნულია სახალხო არტისტ

**ალექსანდრე სოლომონის-ძე იმედაშვილის**

სამოქ. პანაშვიდი. 1458

სასტუმრო „თბილისის" თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება სასტუმროს უფროსი ადმინისტრატორის

**ტარიელ შარვანის-ძე კობახიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/XI, 6 ს. გამოსვენება 15/XI, 2 ს. ქობულეთის ქ. № 20, დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე. 1450

საქ. ჯანსახკომის რესპუბლიკური განმანაწილებელი პუნქტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 15/XI, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

**გიორგი ბესარიონის-ძე გოქაძის**

სამოქ. პანაშვიდი. 1454

საქ. სსრ ჯანსახკომის საქართველოს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი იუწყება პროფესორ ნიკოლოზ იოსების-ძე ანდრიაძის დედის

**დესპინე ბესარიონის-ასულ ანდრიაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში, წულუკიძის მეოთხე ჩიხი № 4. 1455

საბჭოთა არქიტექტორთა კავშირი იუწყება არქიტექტორ თამარ ჩოგოვაძის მამის

**გალაქტიონ ალექსის-ძე ჩოგოვაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/XI, 6 ს. ცხემის ჩიხი № 4. დაკრძალვა 15/XI, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე. 1456

საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატის სტამბის ადგილკომი იუწყება, რომ 15/XI, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

**ალექსანდრე ბესარიონის-ძე ლეჟავას**

სამოქ. პანაშვიდი. 1457

საქ. კონსერვხილტრესტის გორის დამზადების კანტორის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ამავე კანტორის თანამშრომელ კარლო სიმონის-ძე კალანდაძის მეუღლის

**მარიამ (მანია) გაბრიელის-ასულ გოზალოვა-კალანდაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/XI ქალ. გორში სკვერის ქ. № 11. 1453

სამშენებლო კანტორა „მშენებლობის" თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომელ შაქრო ესტატეს-ძე ოდიშვილის დედის

**ეფემია ისაკის-ასულ ჩოდრიშვილი-ოდიშვილის**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 14/XI, 5½ ს. გოგებაშვილის ქ. № 46, დაკრძალვა 15/XI, 2½ ს. ვერის ძველ სასაფლაოზე. 1452

არტელ „ფეხსაცმლის რესტავრაციის" გამგეობა იუწყება თანამშრომელ

**ვასილ ყაზარის-ძე ოსიპოვის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/XI, 6 ს. ყაზბეგის ქ. № 13, დაკრძალვა 15/XI, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე. 1461

თბილისის მე-98 საბავშვო ბაღის მასწავლებლები იუწყებიან, რომ 15/XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია მასწავლებელ

**ნადია პავლეს-ასულ გენძეხაძე-კაპანაძის**

სამოქ. პანაშვიდი. 1380

სახელმწიფო დაწესებულებათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თანამშრომლები იუწყებიან ნ. კავკასიძის სიდედრის

**ეფემია ისაკის-ასულ ჩოდრიშვილი-ოდიშვილის**

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 14/XI 5½ ს. დაკრძალვა 15/XI 3 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე. გოგებაშვილის ქ. № 46.

თამარ და გოგი (გიჩი) მაჭავარიანები იუწყებიან, რომ 15/XI, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია

**ოთარ გიორგის-ძე მაჭავარიანის**

სამოქალაქო პანაშვიდი. 1459

„ზაგოტზერნოს" საქკანტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუშაკები იუწყებიან ამხ. ალიბეგაშვილის სიდედრის

**ფედოსი ფიფიას**

გარდაცვალებას დაკრძალვა ქ. ზუგდიდში 15/XI. 1460

ძირულის ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება ამავე ქარხნის დირექტორის ილია ინგოროყვას სიმამრის

**სამსონ ივანეს-ძე ბახტაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/XI, 6 ს. აუზის ქ. № 27, დაკრძალვა 15/XI, 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. 1451

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 11035